სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №01/169

ქ. რუსთავი 25 ნოემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის დავით ჯიქიას სახით და მეორე მხრივ, ი/მ „მაია ხინჩაგაშვილი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №233 განკარგულების, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 31 მარტის №549 განკარგულებისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 11 აპრილის №525 ბრძანების თანახმად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“. „კვირა“, „თვე“-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 „მხარე“ – „შემსყიდველი“ ან/და „მიმწოდებელი“.

1.7 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1 პროექტი „მონაწილეობითი ადგილობრივი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში“-ს ფარგლებში მთარგმნელობითი მომსახურება.(CPV79500000)

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1 704.00 (ერთიათას შვიდასოთხი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.(დღგ-ს გარეშე)

4.ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღე.

4.4 დაფინანსების წყარო: გრანტი.

5.მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად, გაწეული მომსახურების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს პროექტი „მონაწილეობითი ადგილობრივი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში“-ს დირექტორის მრჩეველი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან **ი/მ „მაია ხინჩაგაშვილი“**.

5.4 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

- „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების დასახელება;
- „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება;
- „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

6. მომსახურების გაწევის ვადა და ნათარგმნი დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი

6.1 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღე.

6.2 ნათარგმნი დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი: ქ. რუსთავი, მ. კოსტავას გამზ. №20.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა)ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ)მომსახურების სრულ და ჯეროვნად გაწევამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა)უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა)შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1 პუნქტში;

8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს პროექტი „მონაწილეობითი ადგილობრივი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში“-ს დირექტორის მრჩეველი.

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1% -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი

11.დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	ი/მ „მაია ხინჩაგაშვილი"
მის: ქ. რუსთავი, მ. კოსტავას გამზირი №20	მის: ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. №14; ბ.10
საიდენტიფიკაციო კოდი №216433287	პირადი ნომერი №01019005358
სახელმწიფო ხაზინა	სს „საქართველოს ბანკი"
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ბ/კ №BAGAGE22
ბ/კ №TRESGE22	ა/ა №GE11BG0000000674315900
ა/ა №GE24NB0330100200165022	
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი	ი/მ „მაია ხინჩაგაშვილი"
დავით ჯიქია	მაია ხინჩაგაშვილი

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: *რევაზ გარგაქაძე*

დანართი № 1

დასახელება	ერთეული გვერდის თარგმნის ღირებულება (ლარი)	გადასათარგმნი გვერდების რაოდენობა	ჯამი (ლარი)
პროექტის ფარგლებში მომზადებული მონაწილეობითი ბიუჯეტირების სახელმძღვანელოს თარგმნა (ინგლისურიდან ქართულად)	24	71	1 704

ი/მ „მაია ხინჩაგაშვილი“

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. რუსთავი 25 ნოემბერი 2016 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით **ი/მ „მაია ხინჩაგაშვილი“**-სგან პროექტი „მონაწილეობითი ადგილობრივი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში“-ს ფარგლებში მთარგმნელობითი მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი — დავით ჯიქია

პროექტი „მონაწილეობითი ადგილობრივი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში“-ს დირექტორის მრჩეველი — რევაზ ბარბაქაძე

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№233 2016 წლის 11 თებერვალი ქ. თბილისი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისთვის გრანტის მიღებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს, ევროკავშირის პროექტის – „მონაწილეობითი ადგილობრივი ბიუჯეტი ქალაქ რუსთავში“ ფარგლებში მიიღოს გრანტი 375 000 (სამას სამოცდათხუთმეტი ათასი) ევროს ოდენობით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

895/ot, 16.02.16.

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№549 2016 წლის 31 მარტი ქ. თბილისი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისთვის შესყიდვის სპეციალური წესების გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს, „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისთვის გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №233 განკარგულებით გათვალისწინებული პროექტის განსახორციელებლად გამოიყენოს ამავე განკარგულების ფარგლებში 2016 წლის 15 თებერვალს გაფორმებული №NEAR-TS/2015/371-399 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ევროკავშირის შესყიდვის პროცედურები.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი
მიღებულია N 12395/02
"05" 04 2016
ფურცელი 1

საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის

გრძანება №525

2016 წლის 11 აპრილი

საქართველო, ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი გრანტის თანხის გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით ხარჯვის თაობაზე და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის ეკონომიკური განვითარების განყოფილების უფროსისთვის ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-19 მუხლის „ა" ქვეპუნქტის, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის "ა.ე" და „ე.ე" ქვეპუნქტების, „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს №9 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე" და „ე.ვ" ქვეპუნქტების შესაბამისად და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №233 და 2016 წლის 31 მარტის №549 განკარგულებების და 2016 წლის 15 თებერვალს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „მონაწილეობითი ადგილობრივი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში" პროექტის ფარგლებში გამოყოფილი თანხა დაიხარჯოს გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით იმ შემთხვევაში თუ გასაფორმებელი ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 60 000 (სამოცი ათასი)ევროს ან ნაკლებს.
2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის ეკონომიკური განვითარების განყოფილების უფროსს-თეონა გალოგრეს მიენიჭოს „მონაწილეობითი ადგილობრივი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში" პროექტის ფარგლებში 2016 წლის 11 აპრილს გასაგზავნ წერილზე ხელმოწერის უფლებამოსილება.
3. ბრძანების მეორე პუნქტით გათვალისწინებული წერილის შინაარსი მოიცავს:
   I) ინფორმაციას წარმომადგენლობითი ხარჯიდან თანხის გამოყოფის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე:
   ა) ტრანსპორტის მომსახურებისთვის.
   ბ) კვებით მომსახურებისთვის.
   II) ინფორმაციას თარჯიმნის მომსახურებისათვის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.
   III) ინფორმაციას საკანცელარიო და საოფისე საქონლის შესყიდვის თაობაზე.
4. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. (მის: ქ. რუსთავი, ბოსტან–ქალაქის ქ. №6).

ქალაქ რუსთავის
მუნიციპალიტეტის მერი დავით ჯიქია